ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5323762

ნომერი: AR1809935

თარიღი : 10.03.2021

გაცემის თარიღი : 12.03.2021

გაცნობის თარიღი : 16.03.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გაზაფხული , N 4 ; ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის ქუჩისა და ინტენსიფიკაციის გზას შორის., ნაკვეთი 01/298, ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის ქუჩისა და ინტენსიფიკაციის გზას შორის.ქალაქი თბილისი, შალვა ნუცუბიძის ქუჩა, N 77ი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით რამინიშვილი პ/ნ 01008013758
- თბილისი ს. ცინცაძის ქ. N 12 ბ. 8-28

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 05 მარტის №5314706 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2021 წლის 10 მარტს №AR1809935 განცხადებით მომართა დავით რამინიშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2021 წლის 05 მარტის №5314706 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება მშენებლობის ვადის მითითების ნაწილში.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 10 დეკემბრის №5220393 ბრძანებით შეთანხმდა ქ.თბილისში, გაზაფხულის ქუჩა №4; ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ქუჩისა და ინტენსიფიკაციის გზას შორის (ნაკვეთი: 01/298) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.14.15.001.389, №01.14.15.001.235, №01.14.15.001.394), მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურული პროექტი. ხოლო სამსახურის 2021 წლის 05 მარტის №5314706 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 05 მარტიდან 2023 წლის 05 ნოემბრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2021 წლის 05 მარტის №5314706 ბრძანებაში შეცდომით იქნა დაფიქსირებული მშენებლობის ვადა, კერძოდ: ,,მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2021 წლის 05 მარტიდან 2023 წლის 05 ნოემბრის ჩათვლით'' ნაცვლად დაფიქსირდა "მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2021 წლის 05 მარტიდან 2022 წლის 05 ნოემბრის ჩათვლით".
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ 2021 წლის 25 თებერვლის №AR1805864 განცხადებაზე წარმოდგენილ იქნა მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკი 32 თვეზე და სამსახურის 2021 წლის 05 მარტის №5314706 ბრძანებით მშენებლობის ვადა უნდა განსაზღვრულიყო 2023 წლის 05 ნოემბრის ჩათვლით, თუმცა ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის შედეგად მშენებლობის ვადა არასწორად დაფიქსირდა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2021 წლის 05 მარტის №5314706 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 05 მარტის №5314706 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,2. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2021 წლის 05 მარტიდან 2023 წლის 05 ნოემბრის ჩათვლით''.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 05 მარტის №5314706 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 05 მარტის №5314706 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.